№ 203
შაბათი, 24 სექტემბერი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 203
შაბათი, 24 სექტემბერი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერია“
გამოდის 1894 წელს
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

## ტფილისი, 24 სექტემბერი

საქართველოს თავად-აზნაურობა რომ დიდს გაჭირვებაშია ჩავარდნილი და დიდად დავალიანებულია, ეს ჩვენ კარგა ხანია ვიცოდით. მაგრამ, რაც ამ ბოლოს დროს გვესმის ჩვენი სოფლების მებატონეთა შესახებ, ნამეტნავად დასავლეთ საქართველოდან, გვარწმუნებს, რომ თავად-აზნაურობას ახლავე უნდა მიეშველება, თორემ მრავალს უსიამოვნებასა და უბედურებას უნდა მოველოდეთ.

ეს წოდება, როგორც დაწინაურებული და საყურადღებო ნაწილი ერისა, ჯერ თითონ თავის თავადაც ღირსია, რომ იმისი აწინდელი მდგომარეობა გულ-მოდგინედ და საფუძვლიანად იყოს გარჩეული და განსჯილი. გარდა ამისა, როდესაც თითქმის მთელი მეათედი ნაწილი ქვეყნისა ისეთს უფსკრულში ჩავარდნილა, რომ არავინ იცის ხვალ რა დღე დაადგება, საეჭვოა ამ გარემოებაში დანარჩენ წოდებათა ნორმალურ განვითარებას ხეირი რამ დაეყაროს და თავად-აზნაურობის გაჭირვება იმათაც არ დაეტყოს. ხუმრობა სათქმელია ოცი ათასის თავად-აზნაურის ოჯახი გაჭირვებული და უბინაო?!

ამ ოციათასისაგან შესაძლოა ორი ათასი-და დარჩეს, თავის ნაფუძარზედ მაგრამ დანარჩენმა თვრამეტმა ათასმა ოჯახმა, რაღა შავ-ქვას ახალოს თავი? ხოლო ყოველი ესე მოსალოდნელია, რადგანაც დავალიანებულ მამულს იმდენი ველარ შემოაქვს, რომ პატრონსაც ეყოს და ვალის სარგებელიც იხადოს. რაოდენობა-კი თავად-აზნაურობის ბანკებში დაგირავებულის მამულებისა ერთი მესამედია იმისა, რაც მებატონეთ გააჩნიათ. ამასთან უეჭველია ესეც, რომ თავად-აზნაურობას საუკეთესო მამულები აქვს დაგირავებული და დიდიხანია ველარ ჰყოფნის ამ ადგილების შემოსავალი პატრონსაც და ბანკსაც.

ამიტომ დამგირავებელი იძულებულია სარგებელის გადახდის დროს დანარჩენი ქონება გაჰყიდოს და ისე გადაარჩინოს თავი გადარიბებას, დღეს დღეობით მაინც. მაგრამ ამ ახირებულ საეკონომიო ხრიკსაც ხომ საზღვარი აქვს და, ბოლოს და ბოლოს აქლემი მაინც დაიჩოქებს დაგირავებულ მამულის წინაშე. მაშინ?!—მაშინ დაჰკვრენ კვერს და ეს უკანასკნელი ნავთსაყუდელიც გამოეცლება ხელიდგან უბედურ ოჯახს სამუდამოდ. ამ განსაცდელის ასაცილებლად, როგორც ამბობს აგრონომი ლუბარსკი საჭიროა, რომ გლეხებს მიეცეთ ღონისძიება მებატონისაგან ბანკში დაგირავებული ადგილი შეისყიდონ, რაიცა გადაარჩენს გადატაკებისაგან ადგილის პატრონს და სასარგებლო ოპერაციაც იქნება თვით მყიდველისათვის. ამ აზრის დასასაბუთებლად ავტორს მოჰყავს შემდეგი მაგალითი:

„ვსთქვათ, მამულს 90,000 მან. ვალი აქვს. ვსთქვათ თითო დესიატინა ამ მამულისა ჰღირს 160 მან. მაშინ ბანკმა თავისს ვალს 90,000 მანეთში უნდა აიღოს 572 დესიატინა, რომელიც შეუძლიან გლეხებს მიჰყიდოს; მთელი ეს ვალიც იმათ დააკისროს, გარდასახდევინოს თანხისა და სარგებლისა 4.000 მან. წლიწადში. მაშინ ყოველი დესიატინა 7 მან. 11 კაპ. დაჯდება. ამ ანგარიშით ყველანი მოგებაში იქნებიან: მემამულე, 900 დესიატინას მაგიერ, რომელიც ვალით არის დამძიმებული და რომლისაგანაც არავითარი სარგებლობა არა აქვს, მიიღებს 338 დესიატინა ძალიან კარგს მიწას, რომელიც შემდეგში მისცემს გაუჭირვებლად ცხოვრებას; გლეხებმა-კი, იმის მაგიერ, რომ 11 მან. აძლიონ მემამულეს ყოველს დესიატინაში და ამას გარდა ჰფიქრობდნენ, რომ ეს მიწა ადვილ-ბედზედ აქვთ აღებული, ერთის წლით, უფრო სიამოვნებით გადაიხდიან 7 მან., რაკი დარწმუნებულნი იქნებიან, რომ ეს მამული იმათი საკუთრებაა, გააკეთებენ, გაანაყოფიერებენ და ბანკსაც ადვილად გადაუხდიან 7 მანეთს. ბანკიც მოგებაში იქნება: ცუდ მოვალე მემამულეს მაგიერ, კარგი მოვალე—გლეხი გამოუჩნდება, გლეხი, რომელიც ყოველთვის პირ-ნათლად გადაუხდის ვალს.

მაგრამ ამ გვარს სასარგებლო ოპერაციას მებატონისა და გლეხისათვის ფული სჭირია, და თუ ეს ფული გლეხს მოეპოვება, შეუძლია დღესაც შეიძინოს დაგირავებული მამული, გვეტყვის ვინმე.

პირველი და უმთავრესი დაბრკოლება, რასაკვირველია, გლეხის შეუძლებლობა არის. მაგრამ იმას, ვინც შრომას დაჩვეულია და სამუშაოდ ადგილის შეძენას აპირობს, ფული როგორ არ ენდობა?

ჩვენ იმედი გვაქვს, თუ გაგებული და ერთგული მოსარჩლე გამოუჩნდა ამ საქმეს, გლეხთა საზოგადოებას მთავრობა არ დაუჭერს ადგილის სასყიდელ ფულს და სარგებელსაც მცირეს გადაახდევინებს; რომ ასეთის იეფად ნასესხების ფულით-კი ადგილის ყიდვა გლეხთა საზოგადოებას უთუოდ ხელს მისცემს.

კიდევ ვიმეორებთ, საჭიროა ამ საქმეს გულმოდგინე და მცოდნე კაცმა მოჰკიდოს ხელი, და რომ შეუძლებელ მებატონეთათვის, რომელთაც თავისი ავლა-დიდება ერთიანად დაგირავებული აქვთ ბანკში და ეკარგებათ და, აგრეთვე ადგილის შემძენ გლეხთათვის ეს საქმე დიდად სასარგებლო იქნება, ეს უეჭველია. როგორ დავიჯეროთ, რომ მთელს ჩვენს ქვეყანაში არ გამოჩნდეს ერთი ისეთი კაცი, რომელსაც შეეძლოს შეუდგეს მხნედ ამ საშვილიშვილოდ სასიკეთო საქმეს?

მეველე

# დეპეშა

22 სექტემბერი

**პეტერბურგი.** მათნი იმპერატორებითნი უმაღლესობანი, მემკვიდრე ცესარევიჩი, დიდნი მთავარნი გიორგი და მიხეილ ალექსანდრეს ძენი, დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული და საბერძნეთის მეფის ძე ნიკოლოოზი გუშინ, ნაშუადღევის 2 საათზედ, იალტას მოვიდნენ.

**ლონდონი.** პინგ-იანგიდგან უკან დაწეული ჩინეთის ჯარი ნგანთან დაბანაკდა და აქვე მას შეუერთდა იალუს კიდეებზედ გადმოსული და შინკინუიდგან წამოსული ჯარი. ჩინელებმა აქ მიწის სიმაგრები და სა-

# ფელეტონი

## მე, პისარევი, სანდალა და კიტა.

(დასასრული*)

გადავიდეთ ახლა პისარევზედ. გავსინჯოთ რაოდენათ საკადრისია ახალგაზდა მწერლისაგან, მწერლისაგან, რომელსაც, თუ მართლა ჰსურს თავისი ქვეყნისა და მწერლობის სამსახური, ტალახის სროლა კაცისა, რომელიც თვით ტყვეობაში, კაზამატის კედლებიდამაც-კი უძღვებოდა მთელს თავისი ქვეყნის ცხოვრებისა და წარმატების მსურველს ხალხს წინ, გაშლილი ბაირახით და შესძახოდა ბრძოლას სიმართლისა და პროგრესისათვითვის. მე დავანებებ თავს და არ განვიმეორებ მას, რაც ერთხელ წარმომითქვამს ჟურნალს „იმედში“ პისარევის შესახებ ამგვარისავე ზიზღით მის მოხსენებაზედ პასუხათ, რადგან, მე, აბა ქართველი პისარევი ვარ და ჩემი ლაპარაკი კუჭის გაძღომისა იქნება, რომელიც ასრე ეთაკილება ჩვენს ახალგაზრდა მწერალს, და რა დამეჯერება. მე მოვიყვან დინჯის, აუჩქარებელის, უფრო მძიმე ნაბიჯით მავალს ვიდრე რადიკალურს ჟურნალის აზრს. მოვიყვან „Вѣст. Европы“-ს სიტყვებს ახლად გამოცემული პისარევის თხზულებაებზედ, რომელიც დაიბეჭდა ამ ჟურნალის ენკენისთვის წიგნში. ეს ჟურნალი ჯერ ლაპარაკობს მაზედ, რომ პისარევის ნაწერები ბევრს ხანს იყვნენ დევნილნი მწერლობიდამაო. შემდგომ განაგრძობს.

„სამწუხაროა ამ გვარი დევნა. თუ ჩვენ გვინდოდა მწერლობიდამ გაგვედევნა რომელიმე აზრის მიმართულება, რომელიც ცუდი გვეგონა, ამაში შემცდარნი ვართ. რომელიც გინდა იყვეს მიმართულება საზოგადო აზრისა, არ ეკუთვნის ერთს რომელსამე ანუ რამდენსამე მწერალსა. ეს ეკუთვნის სულსა ჟამთა ვითარებისას, და სული ჟამთა ვითარებისა იხახება ჯერ ერთი ცხოვრების ფაქტებითა, რომელთაც ვერ აიცდენ, მეორეც—უცხო ხალხთა ლიტერატურით, რომლისაც გავლენის მოშორება ყოვლად შეუძლებელია“.

და რა დრო იყო ის დრო, რომელსაც ეკუთვნოდა პისარევი?—ეს იქნება, აღზრდილთა „Сѣвер. Вѣст.“-სა და ვოლინსკიზედ მწერალთ ისრევე სათაკილოთ და საზიზღრათ მიაჩნდეთ, როგორც პისარევი. მაგრამ, მათდა საყურადღებოთ-კი არა, ჩვენდა სასმენელად, რომ იმ გვართა მწერალთა არ შეგვიყვანონ ცდომაში, დაუგდოთ ყური, რა გვესმის პისარევსა და მესამოცე წლების მწერლებზედ «Вѣст. Европ»-დამ, და პისარევის ბიოგრაფიიდამ, რომელმაც გაიგდო მთელს რუსეთში ამ ბიოგრაფიით სახელი.

„რეალიზმი (კიტას ტერმინით „მორალიზმი“) ხელოვნებაში არც დობროლიუბოვისა და არც პისარევის მოგონილი არ არის. წმინდა ხელოვნება დამარხა ისევ ბელინსკიმ[1])“.

„ყველაზედ უმთავრესი (პისარევის თქმით) საქმე მწერლობისა არის სარგებლობა, რომელიც იმან უნდა პირდაპირ მოუტანოს საზოგადოებას. და დღევანდელს დღეს ყველაზედ მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლიანთ ეკონომიურთა და ბუნებურთა მეცნიერებათა შესწავლას, რადგან პირველს შეუძლიან ახსნას უმთავრესი რეალური საჭიროება ხალხისა—ეს საქმე სიღარიბისა, რომელიც უშლის კაცობრიობას ნორმალურს ცხოვრებას; მეორეს, ესე იგი ბუნებითი საგნებს, შეუძლიანთ განათავისუფლონ გონება შემცდარი აზრებიდამ, რომელნიც უშლიან სალსა და ჯეროვანს ცხოვრების გაცნობას და მასთან კავშირს. ის უარსა ჰყოფდა მეტაფიზიკას და განყენებულს ფილოსოფიას, რომელთაც არა აქვთ რეალური შინაარსი; მტრულად უყურებდა იმ მეცნიერებას, რომელიც არ უახლოვდება ხალხს, „ჰბადებს ცოდნის მონოპოლიას“, რომელიც იმისა აზრით არის ყველა მონოპოლიებზედ უფრო სავნებელი“.

„მესამოცე წლები იყო მუშაობისა. „პსიხოლოგია,—აქ მოჰყავს „Вѣст.“ ევგ. სალავიოვის სიტყვები, რომელმაც დასწერა წინასიტყვაობა პისარევის თხზულებისა და მისი ბიოგრაფია,—იმ გაჩქარებული შრომისა, რომელიც არის სავსე სრულიად და ცხადათ გამორკვეული აზრით, აწონვილი პროგრამმით და ამასთან იმისთანა საქმით, რომლისაც გადადება შეუძლებელია,—აი რა იყო პსიხოლოგია მესამოცე წლებისა. სხვა ნურცარას ეძებთ აქა. ვისაც არ მოსწონს, როგორა ჰმუშაობენ კვერით და ცულით, იმან არც უნდა ჩაიხედოს მესამოცე წლების მწერალთა ნაწერებში, ის უნდა მიუბრუნდეს სხვა ეპოქას, როდესაც აჟღარუნებენ ბობლანს და შეამკობენ დამწვართა იმედს მთვარესა... ინჟენერი, რომელსაც გაჰყავს გზა, არ დაგიდევს თუ ამ გზისათვის ისა სჭრის დიდებულს მუხას, რომლის ჩრდილის ქვეშ გუშინ შეყვარებულნი ჰკოცნიდნენ ერთმანერთს. ეგრეთვე არ დაგიდევს რომ ამავე გზის გასაყვანათ შესწყვეტს მშვენიერს წყარო… ჩხრიალს, მოშლის უმშვენიერესს სანახაობას. ამ მხრივ უყურებდნენ მესამოცე წლების მწერალნი წმინდა ხელოვნებას და მშვენიერებას. ერთიცა და მეორეც მათ შესცვალეს „საზოგადოებათ“, საზოგადო კითხვებით, კაცთა პასუხის გებით კაცთა წინაშე და სხვა ამგვარებით. იმათ არ ეცალათ ექექნათ ფილოსოფიური სისტემანი, პეტრარკა და პუშკინი, ტასსო და გოგოლი. ნაცვლად ამისა უნდა გადაეწყვიტნათ ისრე, პრინციპიალურათ-კი არა, დაწვრილებით, პრაქტიკულად, საქმე საკომლოებისა (НАДѢЛОВЪ), პრისიაჟნებზედ და სხვა ამგვ. ყველა ეს შავი და ჯანის მომღები საქმე იმათ იკისრეს, შეასრულეს, და ამავ დროს ჩვენგან (აქ კიტას მსგავსნი იგულისხმებიან) ჰხედამენ მხოლოდ სამარცხვინო უმადურობას. რათა? (ამის პასუხს „მოამბე“ გვაძლევს კ. აბაშიძის პირით: ჩვენ გვინდა საიქიო და არა სააქაო. ისინი-კი სააქაოსთვის ზრუნავდნენო). იმიტომ რომ ოფლში იწურებოდნენ და შრომისაგან ხელები ჰქონდათ დაბებრებული, და თა-

*) იხ. «ივერია», № 202.

[1]) ნახე ჩემი ზემოთ მოყვანილი აზრი ამაზედ.

ფარნი გააკეთეს. აქ იმ აზრისანი არიან, ნგინთან გადასწყდება ომიო. ბოგდიხანის სიმამრი სუნგ-ვეი შანკაიკვანში წავიდა, წინ უძღვის 5,000 სულს მანჯურიის ჯარის-კაცს. პეკინში მოელიან 20,000 კოშგარის ჯარს; 25,000 ევროპულად გაწვრთნილი ჯარი თავ-მოყრილი იქნება ტუნიშუში სატახტო ქალაქის დასაცავად. პეკინში ჯარი დიდად აღელვებულია უცხო-ქვეყნელთა წინააღმდეგ. იაპონიის ჯარი მუკდენს უახლოვდება; სასაზღვრო ქალაქი შეია-შუ უკვე დაიპყრეს იაპონელებმა ისე, რომ წინააღმდეგობა არავის გაუწევია.

## ახალი ამბავი

⁂ გუშინ, 23 სექტემბერს, საგანგებო მატარებლით დილის ცხრა საათზედ ტფილისში ჩამოვიდა მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ზ. ერმოლოვი. ტფილისის სადგურზე მინისტრს მიეგებნენ ტფილისის გუბერნატორი თავ. გ. დ. შარვაშიძე, ვიცე-გუბერნატორი ტიზენჰაუზენი, რკინის გზის უფროსი ფრიდე, კავკასიის სარწყავ არხების ექსპედიციის უფროსი გენერალი ჟილინსკი, კავკასიის მთავარ მართებლის ადიუტანტი, პოლიციმეისტერი ქალაქის მოურავი და მრავალი სხვანი.

⁂ მინისტრთან გუშინ იყვნენ ვიზიტით კავკასიის მთავარ მართებელი, მისი თანაშემწე, ტფილისის გუბერნატორი, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურების წინამძღოლი და სხვ. შემდეგ მინისტრი მიწვეულ იყო სადილად კავკასიის მთავარ-მართებელთან. ნაშუადღევს სამ საათიდგან მინისტრმა გადაუხადა ვიზიტი სუყველას ვისაც ჰნახა იგი.

დღეს, 24 სექტემბერს მინისტრი ერმოლოვი დილის ცხრი საათ-ნახევრიდგან სასახლეში მიიღებს მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქო-

ლას, ვისაც თხოვნა აქვს რამე მინისტრთანა. დღესვე დაათვალიერებს იგი სააბრეშუმო სადგურს, საბაღოსნო სკოლას, საბოტანიკო ბაღს და მთებს, სადაც ტყის გაშენება აქვთ განზრახული.

⁂ საქართველოს ეგზარხოსი ვლადიმირი გუშინ, 23 სექტემბერს, ბორჯომს წავიდა.

⁂ ხუთშაბათს, 22 სექტემბერს, ქალაქის გამგეობის სადგურში მოხდა კრება ქალაქის სამოსწავლო კომისიისა. კრებამ განიხილა ტფილისის გუბერნიის საერო სასწავლებელთა დირექტორის დ. დარსკის მოხსენება იმის შესახებ, რომ ყველა სამოქალაქო სასწავლებლები ამიერიდგან უნდა ექვემდებარებოდეს საერო სკოლების ინსპექტორს პავლოვსაო. კომისიამ განიხილა ეს საქმე და გადასწყვიტა ვკითხოთ იურისტებს, ნება აქვს დარსკის თუ არა, უკვე დაარსებული სკოლები დაუქვემდებაროს საერო სკოლების ინსპექტორსაო.

⁂ ხვალ ორს ადგილს უნდა მოხდეს კენჭის ყრა—გორსა და ბათუმს. გორში უნდა ამოირჩიოს ქართლის თავად აზნაურობამ გორის მაზრის მარშალი, და ბათუმში ხმოსნები ქალაქის საბჭოში.

⁂ ტფილისის საბაღოსნო სკოლაში ეგზამენები დანიშნულია: 30 სექტემბერს პრაქტიკულად სპეციალურ საგნებისა; 3, 4 და 5 ოქტომბერს — სპეციალურ საგნებისთვის; 8—გეომეტრიისა; 12—მიწის მზომელობისა; 14 ოქტომბერს—ბუღალტერიისა. 29 ოქტომბერს გამოსცდიან იმ მოსწავლეებს, რომელთაც სასწავლებელში შესვლა უნდათ; სულ 14-ი თავისუფალი ადგილია და სწავლასაც 14 სული ამთავრებს.

⁂ დღეს შაბათს საღამოს $8^1/_2$ საათზედ იქნება კრება კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისა.

⁂ შაბათს, 17 სექტემბერს თავი მოიკლა ტფილისის სემინარიის მოსწავლემ ვ. მარჯანიძემ. ტყვია იკრა თავში და იქვე დალია სული.

⁂ სოფ. ტოლა: 8 სექტემბერს, განთიადისას, ს. ტოლის მცხოვრებელი გლეხი სოლომან კაციას ძე გაბისიანი გარდაიცვალა; მეორე დღეს, საღამოს 6 საათზედ, როდესაც ჩაასვენეს კუბოში, გარდაცვალებული გაცოცხლდა და სასმელი წყალი მოითხოვა. ჭირისუფალმა სიხარულით აუსრულა თხოვნა და შვიდი ჩაის სტაქანი წყალი და ორი სტაქანიც რძე დაალევინი. წყლისა და რძის დალევის შემდეგ მუცელს შემოჰბერა, ერთს დღესა და ღამეს კიდევ გასძლო და შემდეგ ისევე გარდაიცვალა.

⁂ ცხინვალი: ამ წარსულის ხოლერობის წელიწადს ფული შეჰკრიბეს ყოველ დუქანზედ იმ განზრახვით, რომ წყალი გამოეყვანათ ქუჩების გასაწმენდ-გასასუფთავებლად. აქ მოკრებილი ფულით იყიდეს რამდენიმე მილი, რომ ეკკლესიის ეზოში გამოეყვანათ და გამოიყვანეს კიდეც. ამ წყალმა მთელი ორ თვე ნახევარი იდინა ჩვენდა სასიამოვნოთ და სასარგებლოდ. მერე, ადგნენ და ეს წყალი მოსწყვიტეს, ვითომდა ეკლესიისათვის არ არის კარგიო. ნეტავ რისთვის არ უნდა ყოფილიყო კარგი? იქნება იმიტომ, რომ უწყლოობით პატარა ხეები და ბზა უხმებათ; რამდენი ეკკლესია ნატრობს კარებზედ წყალს და ცხინვალელები-კი მზა-მზარეულსაც ვაუქმებთ. ამის გამო ბოქაულმა ურჩია ხალხს გამოუშვით, წყალმა ისევ თავისს კალაპოტში იდინოსო და ან ის აკრეფილი ფული დაუბრუნეთ პატრონებსაო, მაგრამ ამ საქმის მომქმედებმა ეს სიტყვები მიაფუჩეჩეს.

⁂ სამეგრელო, 21 სექტემბერი. თვე ნახევრის გამუდმებულმა წვიმებმა ლამის ხელი აგვაღებინოს წრევანდელ ჭირნახულზედ. აგვისტოს პირველ რიცხვებიდგან დღე გამოშვებით სულ ცა შავის ღრუბლებით დაფარულია და კოკი-პირულად სწვიმს. ამ წვიმებმა საშინლად დააზიანა სიმინდები. აგვისტოში სიმინდის ტარო იზრდება და აი სწორედ ამ დროს უღალატა ამინდმა. ამის გამო წრევანდელ სიმინდის ტარო სიგრძით ერთს ციდას არ აღემატება და ისიც ნახევრობით უკაკლოა. ისეთი სიცივეებია ახლა აქეთ, რომ კაცს იანვარი ეგონება... სადადიანო მთები ჩამოთოვა და ეგრედ წოდებულ „ასხში“, სადაც სამეგრელოდგან ზაფხულობით საძოვრად მიერეკებოდნენ საქონელსა, ნახევრობით შიგ ჩარჩა. იქ თურმე ადლნახევარი თოვლი ძევს, რის გამოც საქონლის ჩამოდენა ვერ გაუბედნიათ და მრავალი სული საქონელი იხოცება უსაქმელობით.

⁂ ახალ-სენაკი. ყველა კარგი, მაგრამ ის თავ-გასულობა, რომელსაც ჩვენს დაბაში შინაური საქონლის მჭედლები იჩენენ, ვგონებთ ყურადღების ღირსიც არის და მიუტევებელიც. ჯერ ერთი, რომ პირუტყვებს მეტად ძვირადა სჭედენ და მეორე, სიძვირეს ვინა სჩივის, ოღონდ ამათი დაჭედილი საქონელი დაჭედვის შემდეგ პატრონს უკოჭლოდ გამოადგებოდეს. ვინ მოსთვლის, რამდენი სული საქონელი დააკოჭლეს და რამდენი კიდევ ფეხის გასივებით მოკვდა. ახლა აქეთ ჭირნახულის მოწევა იწყება და იშვიათია ისეთი ოჯახი, სადაც ხარი, კამეჩები და ცხენი კოჭლი არა ჰყავდეთ და არ იტანჯებოდნენ.

⁂ სომხურს ჟურნალ „ტარაზში“ დაუბეჭდიათ ე. გ. ნინოშვილის მოთხრობა: „განკარგულება“.

⁂ 22 სექტემბერს თამამშოვის ქარვასლაში მეხუთე ნაწ. პოლიციის ბოქაულმა ივანე გულიევის დუქანში ორი ფუთი გაფუჭებული ხიზილალა აღმოაჩინა. ხიზილალა გადააყრევინეს და დუქნის პატრონი პასუხის გებაში მისცეს.

⁂ ამავე დღეს ანჩისხატის ქუჩაზედ იოსებ გარეწელოვის სადგურში შკაფში ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლი მალე გააქრეს, მაგრამ 75 მანეთის ზარალი მაინც მისცა პატრონს.

## დამაკვირდი

თუ გინდათ ერი კეთილ-ზნეობიანი იყოს, ბედნიერ ჰქმენით.

რომფოსტი

⁂

ყოველთვის შეგვწევს ხოლმე ძალა სხვისის მწუხარების ატანისა.

შექსპირი

### მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ბათუმში

მიწათ მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ბათუმში მოვიდა 18 სექტემბერს. ნავთ-სადგურში დაუხვდნენ ქალაქის წარმომადგენელნი და მოქალაქენი. მინისტრმა დაათვალიერა ნავთ-სადგური, ქალაქი და მიიღო თხოვნები ბათუმის მცხოვრებ ოსმალოელებისაგან.

$11^1/_2$ საათზედ მინისტრს გაუმართეს საუზმე კლუბის დარბაზში. საუზმეს დაესწრნენ: სამხედრო გუბერნატორი შალიკოვი, ქალაქის მოურავის აღმასრულებელი, სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე თავადი ერისთავი და სხვ.

საუზმის დროს მინისტრმა შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა:

„თუმცა დიდხანს არ დავრჩები ბათუმში, მაგრამ ეს იმას არა ჰნიშნავს, რომ ყურადღებას არ ვაქცევდე ამ ქალაქს. ბათუმის ინტერესები იმდენად რთულია, იმის საზოგადო ცხოვრების პირობანი იმდენად მრავალგვარია, რომ ყველა ამის გაგება ორ-სამ დღეში ყოვლად შეუძლებელია. ამისათვის საჭიროა უფრო მეტი დრო, ვიდრე მე მაქვს ეხლა. მიუხედავად ამისა, გავიცანი რა ცოტაოდნად მაინც ეს ქალაქი, შემიძლიან ვსთქვა, რომ მისი ვითარება, ადგილების გაუმიჯნველობის მიზეზით გამოწვეული, სრულიად უნდა შეიცვალოს. გაძლევთ პირობას, რომ ამ გარემოებას განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევ და ვეცდები ეს საქმე სულ მოკლე ხანში დავამთავრო, რადგანაც, ჩემის აზ-

---

ნამედროვე პოეტებს-კი, როგორც მიუსეს, არ შეუძლიანთ წერა თუ არ თეთრი ფერჩატკებით და ბოთლი კლიკოთი ცხვირ წინ. „შემდგომ განაგრძობს თვითონ ჟურნალი: „რაკი პისარევი დადგა იმ გზაზედ, რომელიც შეადგენს საზოგადო მეცნიერების საძირკველს და ძირითადს მიზანს, მის დანიშნულებას,—ესე იგი კაცთა კეთილ-დღეობის მიწვდენის გზაზედ,—ის შეუდგება ამგვარი კითხვა-ახსნის საქმეს: რა უნდა ჰქნან იმ კაცთა, რომელნიც კისრულობენ საზოგადო ცნობიერების წინ გაძღოლასა, და იძლევა შემდეგს პასუხს. პირველი: უკეთუ თეორიულათ სოციალური კითხვების გადასაწყვეტი სახსრები არ არიან ჯერ მოპოვებულნი, ამ პირთ უნდა ყოველი ღონით ეძებონ ეს სახსარნი და ეცადნენ, რომ სხვებიც შეუყენონ ამ საქმეს,—ესე იგი, უნდა ისრეთი ცხოველი სიტყვითა და კალმით ჰხატავდნენ იმ მშიერთა სატანჯველს, (არ უნდა დაავიწყდეს მკითხველს, რომ ეს წერილი პისარევისა არის დაწერილი არა უადრეს 1866 წლისა და ჩემი ზემოთ მოყვანილი გარჩევა ჭავჭავაძის „მუშისა“, სადაც მეც ამასვე ვთხოულობ თითქმის პოეტისაგან, არის დაწერილი 1863 წ.,

ნებათა უწყების მოხელეებს და ყვე-

თორემ ბ-ნი კიტა იტყვის: აა თუ არა ჰბაძავს პისარევსაო) რომელნიც შეადგენენ კაცობრიობის მეტს ნაწილს; უნდა ყოველთვის მიაქცევდნენ საზოგადოების ყურადღებას ეკონომიურსა და საზოგადოებრივთა კითხვებს და სისტემატიურათ უნდა უარს ყოფდნენ და ჰკიცხავდნენ ყველას, რაც-კი აშორებს განათლებულთა კაცთა გონებას ამ უმთავრესთა მიზანთა. მეორე: უკეთუ ეს თეორიული გადაწყვეტილებისათვის სახსარი ნაპოვნია და საგანი გადაწყვეტილი, მაშინ იმ პირთ, რომელთაც ჰსურთ საზოგადო ცნობიერების ხელმძღვანელობა, უნდა: „ნიადაგ უხსნიდნენ ყოველ მხრივ და დაწვრილებით ყველაფერში საზოგადოებას უმთავრესს მნიშვნელობას ეკონომიურთა და საზოგადოებრივთა დოკტრონათა, უნდა ავრცელებდნენ ქვეყნად ამ აღმოჩენილთ თეორიულად გადაწყვეტილთ საგნთა და ამავე დროს უნდა ყოველი ღონით სცდილობდნენ დაბალს ხალხში ამრავლონ განათლებული პირნი და ამით მოუმატონ განათლებულს საზოგადოებას ახალ-ახალნი წევრნი, ანუ, უკეთა ვსთქვათ, უნდა ეძახდნენ და ჰკრებავდნენ ახალი სწავლის აგენტებს, ამრავლებდნენ მოაზრე პროლეტარიატთა საზოგადოებას, ამ დროს პოეზიის საქმე ერთის მხრით იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ძალიან ცხოვლად გამოსახოს აუტანელი და მოუთმენელი მდგომარეობა დღევანდელი ხალხისა; მეორეს მხრით ამგვარივე სიცხოველით უნდა ჰსახავდეს იმ ბრწყინვალე მომავალს, რომელიც მოსდევს ამ თეორიულად აღმოჩენილს გონივრულს მომავალის ორგანიზაციას. დანაშთენი ნაწილნი ხელოვნებისა, რომელნიც გასდევენ ისევ საზოგადოების გართობას უაზრო შეცვლებით, უნდა გაიკიცხონ ისევ ისრე შეუწყალებლად“.

აი, ბატონო, რას ეძებდნენ, სხვათა შორის, მესამოცე წლების დაწინაურებულნი მწერალნი და მათთან პისარევი; აი, როგორ უყურებენ ამას თვით ამ გვარი ჟურნალი, როგორც „B. Евр.“ და მათი თანამშრომელნი, რომელთაც მაინცა და მაინც რადიკალობა და წინამსწრობა არ დაეწამებათ, და ამასთანავე არც თუ ოდესმე ყოფილან ვოლინსკისა და ციტოვიჩის აზრისა.

გადავიდეთ ახლა სანდალასა და თქვენზედ. თქვენ სანდალა მიგაჩნიათ გასაკიცხად, საზიზღრად. ეგ აგრეც უნდა იყოს. თქვენ მისტიკი, ის რეალისტი. თქვენ გვიქადაგებთ საიქაოს, ის სააქაოს. თქვენ გინდათ სულის ცხონება, იმას ხორცისა. ის არის ნაყმევი, თქვენ ბატონი, იმას აქვს თავი გამოსყიდული ბატონისაგან, ეს აზის დაღათ, ამას ეძახის უსამართლობას და იმისი შეცოდება ის არის, რომ არა სჯერა, იმავე ბურჟეს და ლომბროზის თეორიების ძალით, რომელნიც ჩვენ „მოამბეში“ გვიჩვენა კ. აბაშიძემ, რომ კაცი, რომელიც შთამომავლობით შეჩვეული არის ბატონობას, გულით ნდომობდეს მონობის მოსპობას. თუ კი თქვენ, ლომბროზოს სწავლა გჯერათ, რომ ქურდობა შთამომავლობითი ნიჭიაო, რატომ მოხდა, რომ თუ ქურდობა იქცა მემკვიდრეობითი ნიჭათ, ბატონობა-კი არ იქცეოდა... მაგრამ აქაც თქვენ ლაპარაკობთ არა სანდალას წიგნიდამ, არამედ სხვების ნათქვამს. იქ მსგავსი მისი, რასაც თქვენ სანდალაზედ ბრძანებთ, არ არის. მაგრამ, თუ თქვენ მართლა აფასებდეთ საზოგადოების სამსახურს, თუ თქვენ მართლა გიყვართ თქვენი მშობელი ხალხი, სანდალას შეფურთხება იქნება შეფურთხება საკუთარი საქმისა, საკუთარი სინიდისისა. რომელმა ჩვენგანმა გაჰბედა ჯიბეში უგროშოდ, ფეხშიშველა ფეხით, ქვეითად დავლა მთელი გამაჰმადიანებული, ახლად შემოერთებული საქართველოს ერისა და მათის მიუდგომელი მთებისა, მიუნდობელი ხალხისა? ვინ არის, რომ უკანასკნელს ლუკმას იგლეჯს პირიდამ და სცდილობს გაადვიძოს სამასი წლის განმავლობაში ქართველობაზედ მოწყვეტილი ქართველი ხალხის უკეთესს ნაწილში ქართველი გული და აღვიძებს კიდეც წიგნით, ფულით, ქცევით, იმ ხალხში, რომელსაც აქამდის თავისი ქართველად ხსენება საზიზღრად და სათაკილოდ მიაჩნდა; ვინ გაგვაცნო მწერლობაში ამ ხალხისა გეოგრაფიული, ეტნოგრაფიული, სოციალური, პოლიტიკური და ზნეობრივი მდგომარეობა და ცხოვრება? ვინ სცდილობს ჩვენგანი დღეს მოწყვეტილს ქართველთ კათოლიკეთა მდგომარეობის შესწავლას, მათთან დაახლოვებას, მათი თანაგრძნობის მოპოვებას? ვინ ავრცელებს მდაბიო ხალხში იაფ ფასიან წიგნებს? ვინ აძლევს წიგნებს მოაზრე პროლეტარიატს მათდა გამოსაფხიზებლად? და სხვა და სხვა და სხვა. ღმერთმა ჰქნას, ამაზედ უკეთესი ცოდნით აღჭურვილნი ჩვენი ქართველნი ახალგაზრდანი ამ ენერგიით, ამ თავის გამოდებით

რით, ადგილების გაუმიჯვნელობა მეტად აფერხებს ქალაქის განვითარების საქმეს“.

საუზმის შემდეგ მინისტრი ჩაქვში წავიდა. მატარებელში მინისტრის წინაშე წარსდგა ნატანების მწარმოებელი თავადი ა. ზ. ჩოლოყაშვილი, რომელიც სოფ. ნატანებში ამუშავებს შავის კუპრის მადანს. ამ კუპრისა ასფალ[illegible] კეთდება. თავადმა ა. ზ. ჩოლაყაშვილმა წარუდგინა მინისტრს სხვა-და-სხვა გვარი შავი კუპრი თავისის მადნისა.

ჩაქვში მინისტრმა დაათვალიერა ჩაის პლანტაციები და მიიღო თხოვნები ადგილობრივი გლეხებისაგან, რომლებმაც შესჩივლეს, ადგილები არა გვაქვს გამიჯნულიო. მინისტრმა თითონ გამოჰკითხა ყველაფერი გლეხებს და დახმარება აღუთქვა. აქვე მინისტრს თხოვნები მიართვეს ოსმალელებმა და რუსებმა, რომლებიც აქ დასახლდნენ ომის შემდეგ დაბა ჩურუქ სუში, ანუ სმეკალოვკაში, როგორც თითონ უწოდებენ. ქობულეთის ოსმალელლებიც იმასა სთხოვდნენ მინისტრს, რასაც ჩაქვის მცხოვრებნი, ადგილები გაგვიმიჯნეთო. რუსები-კი სჩიოდნენ, ადგილი ძლიერ ცოტა გვაქვს; რაც უწინ მოქვცეს, ისიც ოსმალელებმა დაისაკუთრეს, რაც დაგვრჩა, ისიც არ არის განსაზღვრულიო და სხვა. მინისტრმა ამათაც თავისი დახმარება აღუთქვა და სთქვა, თქვენის საქმის განსახილველად საგანგებო კომისიას დავნიშნავო.

ჩაქვშივე მინისტრს გაუმართეს სადილი. აქაც, როგორც ბათუმში, მინისტრმა სიტყვა წარმოსთქვა და, სხვათა შორის, სთქვა, რომ ჩემის აზრით, ამ მხარეში დიდად საჭიროა ადგილების გამიჯვნა და თითოეულ მკვიდრის უფლებათა განსაზღვრაო, რადგანაც ამ ქვეყანაში მხოლოდ მაშინ მოიდგამს ფეხს კულტურა, თუ სრული უფლება მიენიჭება ადგილისა ყველა იმათ, ვინც თავისისა და თავისს მამა-პაპათა გამუდმებულის შრომით სამართლიანად მოიპოვა ეს უფლებანიო. შემდეგ მინისტრმა სთქვა, საჭიროა დავარწმუნოთ, ყველა მკვიდრნი და ადგილ-მამულის პატრონნი, რომ იმათ საკუთრებას არავინ შეეცილება და, მაშასადამე თავისუფლად და არხეინად შეუძლიათ განაგრძონ თავისი სასოფლო სამეურნეო მრეწველობაო.

---

## მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ქუთაისში

18 სექტემბერს, ღამის პირველ საათზედ, ბ-ნი მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ერმოლოვი ბათუმიდგან ქუთაისს მოვიდა. რკინის გზის სადგურზედ ქალაქის წარმომადგენელნი პურ-მარილით დაუხვდნენ მინისტრს. მეორე დილით, 19 სექტემბერს, ბ-ნმა ერმოლოვმა პირველად სახელმწიფო ქონებათა სამმართველო ჰნახა და აქედგან სამეურნეო სასწავლებლის დასათვალიერებლად წავიდა და ეს სასწავლებელიც და მისი მეურნეობაც გასინჯა. ამავე დღეს ქუთაისის სამეურნეო საზოგადოების განყოფილების წევრთ, სამხედრო გუბერნატორის გენერალის შალიკოვის თავმჯდომარეობით, სხდომა გამართეს, რომელზედაც თვით ბ-ნი მინისტრიც დაესწრო. კრებამ, სხვათა შორის, ორი მოხსენება წარუდგინა. პირველს მოხსენებაში აღნიშნეს, რომ საჭიროა ეხლანდელი სამეურნეო სასწავლებელი მევენახეობის სასწავლებლად გადაკეთდეს; მოხსენებაშივე იყო ნათქვამი, რომ ნიადაგის უვარგისობისა გამო არ შეიძლება აწინდელს სამეურნეო სასწავლებელში შემოღებულ იქმნას სასოფლო მეურნეობა, საქონლის მოშენება და სარძეო მრეწველობა, და რომ მთელს ქუთაისის გუბერნიას ვენახების გაშენების თავიდგან ასაცილებლად საჭიროა ადგილობრივი ვაზების ნაცვლად ამერიკის ვაზი დავრგათო. საზოგადოების წევრნი შუამდგომლობდნენ, რომ მიწათ მოქმედების სამინისტრომ ფულად შემწეობა აღმოუჩინოს განზრახულს სასწავლებელს მისდა მოსაწყობადაო.

ბ-ნ მინისტრმა დიდის ყურადღებით მოისმინა სამეურნეო საზოგადოების წევრთა მოხსენება და სასარგებლოდაც ჩასთვალა იმათი მოსაზრებანი, მაგრამ თავის მხრივ შენიშნა, რომ სამეურნეო სასწავლებლის მევენახეობის სასწავლებლად გადაკეთება ჯერ აგრე მალე არ მოხერხდებაო, რადგანაც ეს საგანი ყოველ მხრით არ არის განხილული, მით უმეტეს, რომ ამ სასწავლებლის დაარსება დიდ ხარჯს მისცემს მთავრობასაო.

ამის შემდეგ, წაკითხულ იქმნა მეორე მოხსენება, სადაც დაწვრილებით იყო აღწერილი ყველა სამეურნეო საჭიროებანი. მოხსენებაში სთხოვენ, რომ საჭიროა ქუთაისის ყოველს მაზრაში თითო დაბალი სამეურნეო სასწავლებელი იქმნას დაარსებული და ერთიც საშუალო სასწავლებელი მთელი გუბერნიისათვისაო. მანამდის-კი საჭიროა რაიმე საგანგებო საშუალებანი იქმნას მიღებული ქუთაისის გუბერნიის მეურნეობა-მევენახეობის და უმთავრესად სიმინდის წარმოების გასაძლიერებლად. ღვინის კეთების ასაღორძინებლად, საზოგადოების წევრთა აზრით, საჭიროა., რომ ქუთაისის გუბერნია დროებით მაინც განთავისუფლდეს ღვინის აქციზისაგან, რადგანაც ფილოქსერამ უწყალოდ წაახდინა აქაური ვენახებიო. სიმინდის გაშენებისათვის უპირველესი საგანგებო საშუალება რკინის გზაზედ ნაწარმოებთა გასაგზან-გამოსაგზავნ ფასის დაკლებაო. ნავთ-სადგურთან და რკინის გზის რამდენსამე სადგურთან ელევატორები უნდა დაარსდესო. ქუთაისის გუბერნიის იმ ადგილებში, სადაც უფრო მისდევენ სიმინდის მოყვანას, დაარსებულ იქმნას საცდელი მინდვრები. უთუოდ დაევალოთ ევროპის მოვაჭრე ქალაქების საააგენტოებს, აცნობონ ხოლმე, როგორ ფასობს სიმინდი და ან როგორს სიმინდს და რა პირობით უფრო ყიდულობენო. ქ. ქუთაისში გაიმართოს სახელმწიფო ბანკის განყოფილება, საიდგანაც სოფლის მწარმოებელთ ფული უნდა მიეცეთ სესხად მცირე სარგებლითაო.

დასასრულ, დაჩქარებულ იქმნას გამიჯვნა, რადგანაც უამისოდ მემამულეთა კეთილ-განწყობა და ეკონომიური წარმატება შეუძლებელიაო. საშინაო მრეწველობა, მეტის-მეტ ცუდს მდგომარეობაში არის, თუმცა-კი მცხოვრებლები დიდიხანია მისდევენ ამ ხელობასაო. რაც სხვაგან დიდს სარგებლობას იძლევა, ჩვენში წვალების მეტი არა არის-რა. ამის უმთავრესი მიზეზი ხალხისაგან ტეხნიკის უცოდინარობაა და ხელის შემწყობ იარაღის უქონლობაო. საჭიროა, საზღვარ გარეთ გაიგზავნონ ხოლმე აქაურნი მკვიდრნი და შეისწავლონ იქაური სამეურნეო ყოფა-მდგომარეობაო. დასასრულ, საზოგადოების წევრთ ამ სიტყვებით მიჰმართეს ბ-ნ მინისტრს: „იმედი გვაქვს, რომ თქვენი აღმატებულება არამც თუ თავისს მხრივ დახმარებას გაგვიწევს, არამედ უმაღლესს მთავრობასთანაც იშუამდგომლებსო“.

როდესაც მოხსენებანი მოისმინა ბ-ნმა მინისტრმა აღუთქვა, რომ ზოგიერთი თქვენი თხოვნა მალე იქმნება დაკმაყოფილებული და დანარჩენებიც, იმედია, მალე განვახორციელოთო. რაც შეეხება იმას, რომ ღვინოს აქციზი არ დაედოს, ეს უიმისოდაც იქმნება, რადგანაც აქციზი მარტო იმ ადგილების ღვინოებს ედებათ, საიდგანაც გასასყიდად გადის. ქუთაისის გუბერნია-კი ისეთი ადგილია, საიდგანაც ღვინოები არსად არ იგზავნება, და, მაშასადამე, ღვინის აქციზის დადების წესდება ამ გუბერნიას არ შეეხებაო.

შემდეგ დიდი მადლობა გამოუცხადა სამეურნეო საზოგადოების წევრთ და მოხსენებანი გამოართვა თან წასაღებად. კრების დასასრულს თავადაზნაურობამ მის აღმატებულესობას სასწავლებლის შენობაში საუზმე გაუმართა.

მეორე დღეს ბ-ნი სახელმწიფო ქონებათა და მიწათ-მოქმედების მინისტრი ტყიბულს გაემგზავრა, საიდგანაც განზრახვა აქვს ისევ დაბრუნდეს ქუთაისს და ჭიათურის შავისქვის მადნები დაათვალიეროს.

---

## კორესპონდენცია

**დ. ძველი-სენაკი.** 21 სექტემბერი. როგორც მოგეხსენებათ, დ. ძველსენაკში ყოველ აგვისტოს თთვეში იარმუკობა იმართება. იარმუკობა იწყება პირველ რიცხვიდგან და ერთ თთვეს გასტანს ხოლმე. წრევანდელი იარმუკობა იმდენად თვალ-საჩინო ვერ გამოდგა, რამდენისაც მოლოდინი ჰქონდათ. ბევრი ცალიერი კარავი დარჩა გაუქირავებელი. სიძვირესაც ვერ დავამიზეზებთ ამას, რადგან სიძვირე იმდენს ვერ იმოქმედებდა და ვერ შეაფერხებდა ვაჭრობას, რამდენსაც ქესატობა. ვინ არ იცის თუ რამდენად სასარგებლოა იარმუკობა, მრეწველთა, მწარმოებელთა და მიწის მოქმედთათვის.

როგორც ძველ-სენაკის იარმუკობა განთქმულია კავკასიაში თავის ვაჭრობით და აღებ-მიცემობით, წელს იმდენი მოვაჭრენი ვერ მიიზიდა. შარშანდელზე ბევრად ნაკლები იყვნენ მოვაჭრენი ჩვენის საქართველოს დაბა-სოფლებიდან ჩამოსულნი. ვინცკი იყო მათ შორის, ვაჭრობაში პირველი ადგილი ეჭირა ებრაელებსა. ეტყობოდათ, თავიანთი უვარგისი და დამპალი ჩითეულობა ბევრი გაუცვლიათ აბრეშუმზედ. უნდა მოგახსენოთ, რომ წელს, საზოგადოდ, მთელს სამეგრელოში კარგი მოსავალი იყო აბრეშუმისა და ჩვენს ქალებსაც კარგი გაეკეთებინათ. მოსალოდნელიც იყო, რომ ამისთანა კარგი აბრეშუმი კარგ ფასად გაიყიდებოდა, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, მეგრელთა ნაწარმოები ბერძნებს აქვთ ხელში ჩავარდნილი და რაც ამათ გადარჩებათ, ის ებრაელებს მიაქვთ. ებრაელებს, როგორც ვაჭრობაში გამოცდილს ხალხს, სამეგრელოს სოფლებიდგან დიდძალი აბრეშუმი საპალნობით ჩამოეტანათ; ეს დიდ-ძალი აბრეშუმი ებრაელებს სულ კიტრის ფასად მიჰქონდათ, ასე გასინჯეთ, ამერიკული აბრეშუმის ძაფი ქსანი ($1^1/_2$ გირვანქა) ხშირად ოთხ აბაზად და ხან მანათზედ მეტად არ იყიდებოდა. ამისი მიზეზი ისევ ებრაელები იყვნენ, რადგანაც შეჰკ-

---

შესდგომოდნენ საქმეს და მაშინ იქნება ეს უნუგეშობა, რომელიც სენივით ედება ჩვენს საზოგადოებას, გაჰქრეს და გადიცვალოს იმედათ ჩვენი მომავალი ცხოვრებისა... თქვენ შეგიძლიანთ სთქვათ, ჩვენ მას ვკიცხავთ როგორც მწერალსაო. იქნება მაგისი შეცდომა იყვეს, რომ ამ საქმეში განუვითარებელი კაცი ზოგჯერ [illegible] იმიიარს საქმეს ხელს, რომლისაც მომზადება და ძალა იმას არა აქვს, მაგრამ გარწმუნებთ, ეს მოუმზადებელი კაცი, როდესაც გაარჩევდა ბურჟეს რომანების გმირებს-კი არ დასდებდა მათს ცოდვებს ბრალათ მათ ურწმუნოებასა და დავიწყებასა ღვთისასა. ეს ხომ მამათა წმიდათა და ამბროსი ეპისკოპოსმა დიდი ხანია გვითხრეს, დიდიხანია ვცანით რომ ყოველი ჩვენი ცოდო ჩვენი უსჯულოებისგან წარმოსდგება. ის ამ საზიდრებაების მიზეზს, როგორც გარყვნილება ბურჟეს გმირებისა, მოსძებნიდა სხვაგან, სხვა კითხვებში, მოსძებნიდა დღევანდელს სოციალურსა და ეკონომიურს ყოფაში და დაგიყენებდათ მორალს, რომელიც თქვენ ასე გიყვართ: შესცვალეთ ეს გარემოებანი, და გაჰქრებიან ის ბოროტებანიცაო. და ამაების შესაცვლელათ წრიპინი და ბურჟეს მორალების თანაგრძნობა-კი არ არის საჭირო, არის სხვა რამ, რომელსაც თქვენ, როგორც ახალგაზდა მოღვაწეს, რომელსაც ევროპის დაწინაურებულთა მოღვაწეთა საქმენი ყოველთვის თვალ წინა გაქვთ, ამ გზაზედ დადგომა ყოველთვის სარკეთ უნდა გქონდეთ. ამასთან ერთსაც შეიძლება შეეკითხოდათ ბ. სანდალა. როგორც გვიამბობს კ. აბაშიძე ბურჟეს გმირნი [1]) გარყვნა მეცნიერებამ. ნაცვლად მეცნიერებისა გინდათ აღადგინოთ გულსა შინა კაცთასა ღმერთი, სარწმუნოება. არც ეგ არის ახალი ამბავი. ვოლინსკიმა და მისთა მსგავსთა ეგეც თქვენზედ ადრე გვიქადაქეს, მეცნიერების წინაღმდეგ ხომ ტოლსტოიც აგერ აღიმხედრა. მოგახსენებთ, შეიძლება სანდალა შეგეკითხოთ: ვინ იყო ტორკვემადა, ვინ იყო ლოიოლა, ვინ იყო კატარინა მედიჩი, ვინ იყო ფილიპე კატოლიკი? ვინ ინყვნენ ჯვაროსნები, ვინ იყვნენ ჰუგენოტთა, ანაბაპტისთა, პრიოტესტანტთა, მაჰმადიანთა მილიონობით შემმუსრავნი? ვინ იყო ატილლა, ლანგ-თემური, ყრუ მურვანი, შაჰ აბაზი? ვინ იყო, რომელი იტყოდა: ვაი შენდა ხარაზინ, ვაი შენდა ბეთსაიდა, ვაი შენდა კაპერნაუმ!.. ტვიროსი სიდონი, და სოდომი უმოლხინეს იქნებიან დღესა მას სასჯელისასა, ვიდრემ თქვენ!.. ხოლო მტერნი ჩემნი, რომელთა არა უნდათ მეუფება ჩემი მომგვარენით და მოსწყვიტეთ წინაშე ჩემსა!?!.. და ნუ თუ ვიღაცა ლერუს ცოდო ერთი ქალის შეცდენა (ისიც ისრე ზღაპრულად, როგორც კ. აბაშიძეს აქვს მოთხრობილი და არა მსგავსად სინამდვილისა: ქალი ჰნებდება თავის შემცდენს იმ პირობით, რომ შევცდეთ და იქვე თავები დავიხოცოთო) უდრის მილიონების შებილწვას, ძალადობას, მუსრს, დაწვას, წამებას ცეცხლს, რომელსაც ჰფენდნენ ქვეყნად მეცნიერების უვიცნი, მისტიკნი, მღაღადებელნი: და ჰხოცვეთ ყველა და საიქიოს თვითონ გაარჩევენ ვინ მტყუანია და ვინ მართალიო! დიახ, სანდალა ამ გზაზედ არ დამდგარა და არც მეგულება, რომ დადგეს. და როგორა გგონიათ, რა სჯობიან: სანდალაობა თუ კიტაობა? უარმყოფელობა თუ ხანჯაობა? გარწმუნებთ ბატონო კიტავ რომ ისევ და ისევ მეცნიერებაში და არა სხვა რაშიმე ეძებეთ შვება და ლხენა კაცობრიობისა. მეცნიერებას გარეთ მილიონმა წლებმა განვლეს და კაცი ისევ კაცის მგლათ, მჰამელათ დარჩა. მხოლოდ მეცნიერება აყენებს კაცს იმ გზაზედ, რომ გაიხადოს იმან მხეცური ბუნება და იქცეს იმ კაცათ, რომელსაც ჰსახავს აწონვილი გაწვრთნილი გონება. დაფიქრდით, საიდამ შესდგა დღეს, რაც სკაც უჭირავს ხელთა: პური, სახლი, ტანთ საცმელი, გზები, ხომალდები, ტელეფონები, ტელეგრაფები, რკინის გზები, ჰაეროსტატები, მკურნალობა, — სიტყვით რაც კი სწევს კაცობრიობის გონებას წინ, უჩენს გონებას და კუჭს (რომელიც თქვენ ასე გეჯავრებათ და რომელსაც დანაშთენი კაცობრიობა აუცილებლად ემორჩილება და ეთაყვანება.) საზრდოს. მინამ კაცი მშიერია, კაცი კაცის მგელია, თუნდა მთელი დღე და ღამე მუხლის თავებით იდექით მესვეტეთ მთისა ათონისასა და შეჰღაღადეთ მამა ბენედიქტესა. რა მოსპობს სიმშილს? მხოლოდ მეცნიერება, რომელიც თქვენა და ვოლინსკის ასრე გეჯავრებათ. მის გარდა არ არის ხსნა არა მორალებში, არა რწმენაში. და თუ ხშირად მოხდება, რომ ზოგიერთა მეცნიერთა, მეცნიერებიდამ სავნო აზრი გამოჰყავთ, ნუ თუ გგონიათ, რომ ეს ან მეცნიერების ბრალია, ან გვასწავლის ამას? ნუ თუ ეს ემართებათ მეცნიერთა და მორალისტთ კი არ? თქვენ მმოსავმა ქრისტესსამ კარგათ იცით სწავლა ქრისტიანობისა. მაგრამ აბა ახლა თვალი გადაავლეთ ამავე ქრისტეს სწავლისთვის რაოდენი ხალხი შეიმუსრა ქვეყანაზედ. ჰოუტის გამოკვლევა უნდა გაცნობოთ თქვენ, პამფლეტებიდამ მაინცა: რომ, რაც კაცს თავი ახსოვს მთელს კაცობრიობას არ დაუღვრია იმოდენა კაცის სისხლი, რაც ქრისტიანეთა ქრისტეს გულისათვისაო. თქვენ ხომ დარწმუნებული ხართ, რომ ქრისტე სისხლის ღვრას არა ჰქადაგებდა. მაშასადამე, თუ მეცნიერებიდამ გამოჰყავთ რამე მავნე აზრი კაცისათვის, აქვე უნდა ეს შეცდომანი უჩვენონ ქვეყანას და ალაგმონ ესრეთი მეცნიერნი და უჩვენონ ნამდვილი და სასარგებლო მნიშვნელობა მეცნიერებისა, და არა ეძიონ საცალა სხვაგან, რაღაცა მორალებში ხსნა კაცობრიობისა, როგორც ეს თქვენ და ბურჟეს გაგიზრახავთ.

ანტონ ფურცელაძე

---

[1]) უნდა ჩემი ცოდო ვაღიარო, რომ მე ბურჟესი არც არა წამიკითხავს რა, არც არა სხვის ნაწერი წამიკითხავს ბურჟეზედ. მე ამ მწერალზედ ვსჯი კ. აბაშიძის წერილებიდამ რომელნიც „მოამბის“ №№ VIII და IX-ში დაბეჭდილები არიან. და თუ ეს აბაშიძის აზრიც რამე პამფლეტებიდამ არის ამოწერილი მე ვალი ამიყრია, ბოდიშს ვიხდი სიმართლის წინაშე.

რეს პირობა, არამც და არამც მანეთზედ მეტად არ ვიყიდოთ ქსანი აბრეშუმიო. თან ისიც დაუმატეს, ვითომცა-და ქარხნებში ფასი არა აქვს აბრეშუმსაო. ეს რამდენად მართალია, იმისი რა მოგახსენოთ, და ესკი აშკარაა, რომ ებრაელებმა კარგა მოითბეს ხელი... სამწუხაროდ, აბრეშუმის მყიდველთა შორის, არც ერთი ქართველთაგანი არ გვინახავს. აბრეშუმის ამ ზომამდე ფასის დაწევამ ხალხი მომავლისათვის დიდს ფიქრსა და საგონებელში ჩააგდო, როგორც ჩვენი ქალები, აგრეთვე კაცებიცა, რადგანაც წელს კაცებსაც დიდი შრომა მიუღიათ აბრეშუმის მოვლამოვლისა მენებლად

წელს აქ მეგრელთა ნაწარმოები იაფად იყიდებოდა. აბრეშუმის კარგი ქსოვილი დარაიები ალაბი 35—40 კაპეიკად გაიყიდა. ფერად-ფერადს საჩოხეს 2—3 მანეთად და ისიც დიდის დამადლებით, თითქოს არც-კი უნდა ყიდვაო. ამ გვარად, წრევანდელ იარმუკის მადლიერი არავინ არის, გარდა ებრაელებისა. ან როგორ არ იქნებიან მადლიერნი, როცა უვარგისი ჩითეულობა მამა სისხლად მიაჩეჩეს საწყალს ხალხსა და სამაგიეროთ ოქრო-მკედის აბრეშუმი მიჰქონდათ. იარმუკობამ მშვიდობით ჩაიარა. არავითარი ჩხუბი და აყალმაყალი არა მომხდარა-რა.

ტრიფონ კალანდარიშვილი

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

„ნიკოლა ცრინი“, თარგმანი ან. თ. წერეთლისა.

რაც მეტი ხანი გადის, იმდენად უფრო იზრდება, უკეთესდება და მრავალგვარდება ჩვენი ლიტერატურა, თანდათან წინა სდგამს ნაბიჯს. ყოველ წლივ ახალს რამე სასიკეთო მოვლენას ვხედავთ. ჟურნალ-გაზეთები გვემატება, საკითხავი წიგნები ერთიორად მრავლდება და ყოველ ქართველის სულსა და გულს ახარებს, საზრდოს აძლევს. მაგრამ მრავალი მათგანი მდაბიო ხალხისთვის გამოუსადეგარი და გაუგებარია, ამიტომ საჭირო იყო კერძოდ იმათთვის დანიშნულის წიგნების ბეჭდვა და მიწოდება, რადგან, როგორც აშკარად ვხედავთ იმათ შორისაც ჯეროვნად იკიდებს ფეხს წერა-კითხვა. ამიტომ სახალხო წიგნთა მოყვარულთ დაიწყეს დრო-გამოშვებითი გამოცემა სახალხო წიგნაკებისა. ჯერ აგერ სამი წიგნაკი გამოსულა: „მაგდანას ლურჯა“, ეკ. გაბაშვილისა; „სესე“, ბარნოვისა და უკანასკნელად „ნიკოლა ცრინი“. ამ წიგნაკის შინაარსი შემდეგია: სახელგანთქმულს გრაფს ნიკოლა ცრინს, რომელიც ციხე-დარბაზ-სიგეთში სცხოვრობს, თავს დაესხმება ოსმალთა სულთანი სალიმანი აუარებელის ჯარით. ცრინი ქალაქში მცხოვრებლებს ამხნევებს, მტრისა ნუ გეშინიანთ, მტერი ბევრჯელ დ გვცემია თავსაო, მაგრამ ყოველთვის გამარჯვებულნი გამოვსულვართო. სალიმანი რამდენჯერმე მივა იერიშით სიგეთზედ, მაგრამ უნგრელთა სიმამაცესთან ვერასა ჰხდება. ბოლოს ერთ უნგრელ აფიცერს შეიპყრობს, რომლის მამაცურ სიტყვა-პასუხს დიდს გაკვირვებაში მოჰყავს სულთანი და ძალა უნებურად შემდეგს სიტყვებს ათქმევინებს: „ბედნიერ არს ის მეფე, რომელსაც მაგისთანა ქვეშევრდომნი ჰყვანანო“. მოხუცებულ სულთანს უნგრელთა სიმამაცე ბოლმასა და შხამსა ჰგვრის და ყოველი მათი გამარჯვება ასუსტებს და ბოლოს ულევს. ცრინი ამ დროს მეციხოვნეობაშია და ყველას ამხნევებს, როგორც შინაურებს, ისე გარეულებს. იმისმა სიტყვებმა ყველა უნგრელი კლდე-ლომად აქცია, გული რკინად შეუქმნა და სამშობლოს დამცველ თავ-განწირულ გმირად გადააქცია. მაგრამ რა ჰქნას, მტერი უფრო ჰმატულობს, თითონ-კი უფრო ცოტავდებიან, იმათი გულ-გამეხებითი ბრძოლა ამაოდ რჩება. ამ გაჭირვების დროს ცრინი ბრძანებას გასცემს, ცეცხლი მიეცით მთელს ქალაქს და ერთი კიდევ შევებრძოლოთ აუარებელს მტერს, მაგრამ ერთი მუჭა ჯარი მამულისთვის თავ-გაწირულ გმირთა, როგორც ცვარი წყლისა ოკეანეში, ისე ილუპება მტრის სიმრავლეში.

მოთხრობაში აწერილნი დიდიდგან პატარამდის გასაოცარს გმირობას იჩენენ. არა თუ თვით ცრინი, მისი სუსტი ქალი ელენეც-კი გმირობას იჩენს ამ გაჭირვების ჟამს და უკანასკნელ სისხლის წვეთამდის არ უნდა მოშორდეს თავისს მამას და საქმროს. როდესაც მამამ უთხრა, სიგეთიდგან მიწის ხვრელით გაგაპარებთო, ის უარს აცხადებს და არა სთანხმდება. საკვირველი და გასაოცარია სიმამაცე უნგრელთა საზოგადოდ, ყველას შეურყევლადა სწამს, რომ სამშობლოსთვის თავი უნდა დასდოს ადამიანმა, ეს არის იმისი მოვალეობა. სამშობლო იმათი სათაყვანო, სატრფიალო საგანია, უნგარი ამას ვერ უღალატებს, იმისთვის არც სიყვარული გულიდგან განუშორებელ არსებისა და არც სხვა რამე. სამშობლოსთვის თავდადებას უმაღლესს ჯილდო—დიდებადა სთვლის. ელენეს საქმრო ამბობს: „მართალია, ელენეს მივეცი ჩემი გული, მაგრამ ჩემი პატიოსნება-კი მამულს ეკუთნისო! ეს არის ჩემი უუმაღლესი მოვალეობა და ყველაზედ უწინ ეს უნდა ავასრულოო“...

ეს მოთხრობა მეტად კარგია მდაბიო ხალხისათვის, მხოლოდ, სამწუხაროდ, ენა თარგმანისა ცოტა კოჭლობს. წიგნაკი სუფთა და კარგს ქაღალდზეა დაბეჭდილი, 80 გვ. შეიცავს, შიგ ორი ნახატი აქვს ჩართული და ჰღირს ერთი შაური.

ედ.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

საფრანგეთის გაზეთებში დაბეჭდილია საყურადღებო ცნობანი საფრანგეთის მუშათა გაფიცვის შესახებ 1893 წელს. მუშებს მუშაობა აღუკვეთიათ 634 ჯერ და გაფიცვაში მონაწილეობა მიუღია 170,123 კაცს. ეს რიცხვი გაცილებით მეტია 1862 წლის გაფიცულთა რიცხვზედ, როცა საფრანგეთის 50,000 მუშამ მხოლოდ 261-ჯერ აღკვეთა მუშაობა. 1893 წელს მუშათა გაფიცვის გამო უქმად დაიკარგა 3,174,000 სამუშაო დღე. ყველაზედ მეტი სამუშაო დაკარგად მთა-მადნის მუშებს (1,513,200); შემდეგ საქსოვ ქარხნების მუშებს (484,300), შენობათა საქმის (194,270), საქონლის გადასატან-გადმოსატანი საქმის (162,940) და სხვ. 1893 წელს მუშათა გაფიცვას მოჰყვა შემდეგი: გაფიცვის 24,5% გათავდა მუშების სურვილის აღსრულებით, 32,5% ისეთი საქმე იყო, რომ ქარხნის პატრონები და მუშები მორიგდნენ, დახარჩენ 43 შემთხვევაში ქარხნების პატრონებმა გაიმარჯვესო. 1893 წელს გაფიცულ მუშებმა ისე ვერ გაიმარჯვეს, როგორც წინა წელში. მიზეზი ამისა ის არის, რომ ამ წელს საფრანგეთის ჩრდილოეთ დეპარტამენტში მუშები გაიფიცნენ და ვერას გახდნენ, რაც შეეხება გაფიცვის მიზეზს, მომეტებულად დამნაშავენი ყოფილან თვით ქარხნის პატრონნი.

იმავე 1893 წელს პირველად იქმნა შეწყნარებული ახალი კანონი შესახებ მედიატორთა სამართლისა მუშათა და ქარხნების პატრონების საქმეთა გასასხილველად. ამ კანონის ძალით საქმე გაირჩა სულ 189 ჯერ და ამ კანონს მიჰმართეს ქარხნების პატრონებმა მხოლოდ 5-ჯერ, ხოლო მუშებმა-კი 56-ჯერ.

—

სასახლის მგოსნის ადგილი ტენისონის სიკვდილს შემდეგ დღესაც თავისუფალია, თუმცა ამ ადგილის მიღებას ბევრნი სცდილობენ. მაგალითად, ამ ადგილის მიღების ერთს მსურველს რობერტ პაულს შემდეგი წერილი მიუწერია გლადსტონიდგან ბრიტანიის პრემიერთან: „შეგიძლიან ლექსების წერა რა დროსაც გინდათ და რაზედაც ჰნებავთ, და ისეთის სისწრაფით, სასახლის მგოსნადაც რომ დამნიშნოთ, მაინც მოვასწრობ პროვინციებიდგან შემოკვეთილ ლექსების წერას. გლადსტონის პოლიცია კარგად მიცნობს; მომხრე ვარ ჰომრულისა და დიდი პატივისმცემელი გლადსტონისა. თუ ვინიცობაა უკვე სხვა ვინმე გყავთ სახეში სასახლის მგოსნის თანამდებობაზე, მაშინ კიდრე ვაკანსია გაახსნებოდეს, სხვა თანამდებობა მომეცით სახელმწიფო სამსახურში და დიდი მადლობელი დაგრჩებითო“.

## განცხადებანი

„ქართული წარმოდგენების მმართველი ამხანაგობა“ ამით აუწყებს ყველა სცენის მოყვარეთ, რომელთაც სურვილი და ხალისი აქვთ მომავალ სეზონს მიიღონ მონაწილეობა ქართულ წარმოდგენებში, მოსალაპარაკებლად მიჰმართონ ამავე ამხანაგობის წევრს

ვალერიან გუნიას

ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 7.

ვ. გუნიასვე მიჰმართონ იმათ, ვისაც ან ორიგინალი ან ნათარგმნი პიესები აქვთ თეატრში წარმოსადგენად.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ პიესასთან თავიანთ პირობებიც უნდა გამოჰგზავნონ. (8—მ. —2)

კბილის ექიმი

ვ. ი. ჭიჭინაძე

(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდგან, ნაშუადღევის 2 საათამდის და საღამოს 4—6 საათამდის.

რთულის ოპერაციის დროს დაესწრება ექიმი ი. ს. ელიაშვილი.

(50—6.—4)




ვერცხლისა




ოქროსი



ტფილ. გამოფენა.




### ქარხანა.

ზეთიანის საღებავებისა (კრასკების)

### ა. ა. თუთაევისა

ტფილისში, იარმუკაზედ.

დიდის ხნის გამოცდილებითა და ახლად შეძენილის დიდის მაშინის შემწეობით, რომლითაც საგანგებოდ ილესება და მზადდება საღებავები, ვამზადებ ყოველ გვარს ზეთიანს საღებავს, რომლებიც დღეიდგან რკინის კოლოფებშიაც იქნება გაკეთებული სხვა და-სხვა წონისა ჩემის ფირმით. ვაუწყებ ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას და სხვა-და-სხვა ქალაქებიდგან შემომკვეთლებს და ვაძლევ სიტყვას, უგზავნო საუკეთესოდ მომზადებული საქონელი და გასაშრობი კრასკები სწრაფად და რაც შეიძლება იაფ ფასად.

რამდენად მკვიდრია და გამძლე ჩემ მიერ გაკეთებული კრასკები ამის შემოწმება შეუძლიან ყველას, ვინც მოისურვებს და ჰნახავს მეორე წლის შეღებილ დუქნების სახურავ ბანებს ბორდისფრათ, მიხეილის ხიდზედ, რომელიც ეკუთვნოდა წინათ მირზოევს და ახლა ფარსადანოვს ეკუთვნის; ალექსანდრეს მუნთო ვის სახლის კრიშა მწვანე ფერად-ედიანკით, სადაც ობოლთა მფარველი სასამართლო იყო; და დიდის ფერად აგზალის ქუჩაზედ სასულიერო სასწავლებლის სახლის სახურავი აღმოსავლეთის მხრივ.

გარდა გალესილი და დამზადებულ კრასკებისა, ვყიდი ყოველ გვარს გამშრალს კრასკებს, ზეთსა, სკიპიდარს, პენძს, ლაქს, კისტებს, ბრონძს, ალიფს, მასსას, ლიტო-ტიპოგრაფის კრასკებს და ყველა მოწყობილებას სამხატვრო საქმისას, თუ ლიტო-ტიფოგრაფიისას.

ვინც დროიანად შემომიკვეთს, ყველ გვარას ხელოსნებსაც ვუშოვნი საქმეს გასაკეთებლად, როგორც ტფილისში, ისე გაგზავნით სხვა ადგილებში. თუ დრო გვექნება, თვით ჩვენ ვიკისრებთ ყოველ საქმის შესრულებას, ყოველ რემონტს.

—1579—28 ალალო თუთაევი

## „ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ.—კ. | 6 თვით | 6 მ.—კ. |
| 11 ,, | 9 ,, 50,, | 5 ,, | 5 ,, 50,, |
| 10 ,, | 8 ,, 75,, | 4 ,, | 4 ,, 75,, |
| 9 ,, | 8 ,, —,, | 3 ,, | 3 ,, 50,, |
| 8 ,, | 7 ,, 25,, | 2 ,, | 2 ,, 75,, |
| 7 ,, | 6 ,, 50,, | 1 ,, | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

Дозволено цензурою Тифлисъ, 23-го Сентября 1894 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხ ნაგობისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.